საკავშირო მთავრობის დადგენილება, რომელიც მიღებულია 1950 წლის 25 აპრილს, ეხება ხორცხლის მოკვლინის იმდენად დადგენილს, რომ უახლოეს წლებში მიღწეულ იქნას რესპუბლიკის მთელი საკვლების საკუთარ პურით დაკმაყოფილება.

საკავშირო მთავრობის მიერ გასული წლის 5 ოქტომბერს მიღებულია დადგენილება საქართველოში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ამ დადგენილებებით დასახული ამოცანების ძისდწევად საქართველოში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 1957 წლისათვის 70,6 პროცენტით უნდა გადიდდეს 1950 წლთან შედარებით, მათ შორის ხორბლის ფართობი უნდა გაიზარდოს ორჯერ, ხოლო მარცვლეული სახელმწიფო დამზადების მოცულობა უნდა გაიზარდოს 6-ჯერ და უფრო მეტად.

ღორის საერთო სულადობა 1957 წლის დასაწყისში აყვანილ უნდა იქნას 1 მილიონამდე, მათ შორის საკოლეტურნეო ფერმებში ღორის სულადობა 3-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ფრინველის სულადობა რესპუბლიკაში 1957 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 10 მილიონამდე; ე. ი. იგი უნდა გაკეთრაველთან ათჯერ და უფრო მეტად. გათვალისწინებულია მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი ზრდა.

დასახულია დიდი ღონისძიებანი სარწყავი სისტემების მშენებლობის საზით.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეუძლებელია გადაჭარბებით შეგიფასოთ ამ ისტორიული დადგენილებების მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისათვის“.

მიმდინარე წლის 20 მარტს სსრ კავშირის მთავრობამ კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი, ისტორიული დადგენილება მიიღო საქართველოში ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისა და შემდგომი გაფართოების საკითხზე. დიდი ღონისძიებები ხორციელდა სტატეთ მეურნეობის სამინისტროს ხაზით.

იმ ღონისძიებებისა და გეგმების შესაბამისად, რაც მიმდინარე წელს უნდა ! განხორციელდეს, ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის 385.330 ათასი მანეთის დახარჯვას, რაც 1950 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულ გეგმას აღემატება 52.690 ათასი მანეთით, ხოლო ფაქტიურ შესრულებას 46.457 ათასი მანეთით.

ამ თანხის ანგარიშში ბიუჯეტიდან გადებულ იქნება 306.113 ათასი მანეთი, დანარჩენი კი ეზრუნველყოფილ იქნება სათანადო სამინისტროების მოგებით და შემოსავლის სხვა წყაროებით.

საკავშირო მთავრობის მიერ მოკლე დროში ამ ოთხი ეროვნულიანესი, ისტორიული დადგენილების მიღება წარმოადგენს იმ ყურადღების, ზრუნვისა და დახმარების მკაფიო გამოხატულებას, რასაც ქართველ ხალხს მუდმივად უწევენ საკავშირო კომენისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პირადად ჩვენი საყვარელი ბელადი, მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ქალაქებისა და რაიონების კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობისათვის მუდმივი ზრუნვის ტარდაცია, რაც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ დანერგა საქართველოში, დიდი წარმატებით გოძელდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო ტრიბუნაზე 1946 წლის 5 თებერვალს ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თქვა:

„ახლა არის შესაძლებლობა უშეალოდ შეეფდგეთ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს.

...საქართველოს დედაქალაქის საკალაქო მეურნეობა დიდი და რთული საქმეა და ის მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა ეიქნო�თ“.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად ამ სამეშოებს დიდი ბაკანება მიეცა ოქტომბედმამ წლებში მთელ საქართველოში და განსაკუთრებით ქალაქ თბილისში.

1946-1950 წლებში რესპუბლიკაში მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომეფლურ მეურნეობაზე დაიხარჯა 783 მილიონ მანეთამდე, მათ შორის გასული წელ 192 მილიონ მანეთამდე.

დიდი გარდაქმნები განიეცდა თბილისის საქალაქო მეურნეობამ, რომლის კეთილმოწყობაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დაიხარჯა 450 მილიონი მანეთი.

ამ წლებში მარტო სახელმწიფოს ხარჯზე ქალაქ თბილისში აშენდა 62 მრავალსართულიანი სახლი 78 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. მშენებლობის პროცესშია 29 მრავალსართულიანი სახლი.

ამკამად ქალაქს აქვს 2.287 ჰექტარი გაფენებული ფართობი. ეს სამკერი ფლანგება მწვანე ნარგავთა იმ ფართობს, რაც თბილისს 1933 წელს ჰქონდა.

გასულ წელს ქალაქის გარშემო მოეცეულ ბოლს ფერფლებზე 647 ჰექტარი ტყის მასივები გაშენდა. განზრახულია უახლოეს 4-5 წელიწადში ქალაქის ირგვლივ დამატებით 8 ათასი ჰექტარი მწვანე ნარგავების გაშენება.

ფართოდ ცნობილია ქ. თბილისში უკანასკნელ წლებში ტუნელის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის განხორციელებული უაღრესად დიდი ღონისძიებები. ამ სამეშოთა შორის ალსანიშნავია უწინარეს ყოვლისა მეღელეფშეილისა და ხელოსანელთა ქუჩების გაფართოება, რამაც სახე უცვალა ქალაქს და უფრო გაალშენეოდა იგი.

ასევე დიდ განძს წარმოადგენს ქალაქისათვის ახალი მოსაფლეტებელი ქუჩა სამეფოცენო ქალაქისაკენ სახლოთალლინი და საავტომობილო ტრასა ეურორტ წყნეთამდე.

დიდი შეშობაა გაწეული ღრმაღელსა და ქალაქის სხვა ახალი განაპირა უბნების კეთილმოწყობისათვის.

თბილისელთა და მთელი ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს მდინარე მტკვრის სანაპირეობა.

წელს ძოლიანად დამთავრდება ახალ. მარეხენა სანაპიროს საყრდენი კედლის შენებლობა ტელეფანის ეუნის ოროკონიკაძის სახელობის პარკთან შეერთებამდე.

თბილისელის მშრომელები სანაპიროელმისნი საჩუქრად მიიღებენ ახალ, ოშეიანი არქიტექტურული ნაგებობის ხიდს ტეტეხთან.

დაიწყო დიდების ახალი ხიდის მშენებლობა დიღმის პირდაპირ.

მიმდინარეობს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა ორთაჭალაში.

ადამიანი მეურნეობისა და ქალაქის ეკონომოწყობის სხვა მშენებლობათა შორის უნდა აღინიშნოს ახალი სტადიონის შენებლობა ვაკეში, აეროპორტ-თბილისის ახალი მაგისტრალი და სხვ. კეთილმოწყობის დიდი სამეშოები ბორცვიდან თბილისის გარეუბნის კურორტებზე — წყნეთში, კოჯორსა და კოკეთში. 1951 წლისათვის კომენალური და სახმარი მეურნეობის მშენებლობის. კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალურ რემონტსა, სოფლიერაკეთი ხარჯებზე და სხვა საჭიროებაზე კომეფლურ მეურნეობაში ქ. თბილისის ბიუჯეტში დაგეგმილია ხარჯები 92.821 ათასი მანეთის ოდენობით.

სხვე იეკალა რესპუბლიკის სხვა ქალაქებმა და რაიონების ცენტრებმა.

განსაკუთრებით დიდი ღონისძიებები განხორციელდა საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობისათვის ქუთაისში, სოხუმში, გაგრაში, ბათუმში, სტალინირში, ფოთში, გორში, ზუგდიდში, თელავში, ხაშურში, ბორჯომში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ახახიძეში, ლანჩხუთში და მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ქალაქ გორის კეთილმოწყობის საკითხი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ეედმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანია.

გორის საქალაქო კომეფლურ და სამინაო მეურნეობაზე უკანასკნელ 5 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 26.975 ათასი მანეთი, ხოლო 1951 წლისათვის დაგეგმილია 6.137 ათასი მანეთი.

1951 წელს სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში კომეფლური და სამინაო მეურნეობის საჭიროებისათვის დაგეგმილია 177.258 ათასი მანეთი, რაც 1950 წლის დაზუსტებულ გეგმას 10.940 ათასი მანეთით აღემატება.

საგზაო მშენებლობაზე ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 51.640 ათასი მანეთი.

ვაჭრობის ღონისძიებებზე დაიხარჯება სულ 29.189 ათასი მანეთი, რომლის ანგარიშში ბიუჯეტი გასცემს 11.919 ათას მანეთს.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1951 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1.654.593 ათასი მანეთი, რაც ბიუჯეტის ხარჯების მთელი მოცულობის 64,1 პროცენტს შეადგენს და 16.941 ათასა მანეთით აღემატება გასულ წელს ამ დანიშნულებით გაწეული ხარჯებს ფაქტიურ ოდენობას.

განათლების ღონისძიებებზე ხარჯები დაგეგმილია 1.050.758 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ გასულ წელს ბიუჯეტით გაბარკული თანხაზე 10.522 ათასი მანეთით მეტი.

სკოლა და მასწავლებელი ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და სტალინური მზრუნველობით არიან გარემოსილნი.

სტატიაში „ფურცლები დღიურიდან“ 1923 წლის 2 იანვარს ვ. ი. ლენინი წერდა:

„სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სამაღლეზე უნდა დავაყენოთ, როგორზედაც იგი არსაოოდეს არ მდგარა, არ ედგა და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“.

ამ ზრუნვის პირდაპირი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივ ბიუჯეტებში სკოლების ხარჯები 1949 წლის 233,5 მილიონიდან 1951 წელს გაიზარდა 554,8 მილიონ მანეთამდე, ანუ თითქმის ერთი-ორად.

ძირითადად ეს ზრდა მასწავლებელთა ხელფასის გადიდების შედეგია. მასწავლებელთა ხელფასი ადგილობრივ ბიუჯეტებში 1940 წელს შეადგენდა 127,4 მილიონ მანეთს, ხოლო 1951 წლისათვის გათვალისწინებულია 349.2 მილიონი მანეთი, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი.

მასწავლებელთა ეფუძნა კომეფლური მომსახურების ხარჯები გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში 11.701 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 1950 წლთან შედარებით 654 ათასი მანეთით მეტი, ხოლო 1940 წლთან შედარებით თითქმის 3-ჯერ მეტი.

კულტურულ-საგამანათლებლო დაწესებულებათა კომეტიტის ხარჯთაღრიცხვით დაგეგმილია ხარჯები 51.527 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ გასულ წლთან შედარებით 4.685 ათასი მანეთით მეტი.

კადრების მომზადებაზე ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 177.901 ათასი მანეთი.

პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ ქართველი ხელოვნების განვითარებას და ყოველგვარ დახმარებას უწევენ მას ახალ წარმატებათა მიღწევის უზრუნველსაყოფად.

„საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართული ხელოვნების აყვავება ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორისა, რომელმაც საშეალება მისცა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს სავსებით გაეშალა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ნიჭი“. (ლ. პ. ბერია).

სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს ხელოვნების საჭიროებისათვის. 1946 - 1950 წლებში ხელოვნების საქმეთა სამმართველო ხარჯთაღრიცხვებით საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან გაეცა 315.320 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტში, კი ამ დანიშნულებით გათვალისწინებულია 44.220 ათასი მანეთი.

მეცნიერებისა ადგილების სისტემაში შედის 43 სამეცნიერო ინსტიტუტი და სხვა დაწესებულება.

მიმდინარე წელს სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი კიდევ უფრო გა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეკუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენება

(დასასრული)

ფართოვდება ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ახალ ამოცანებთან დაკავშირებით.

1951 წლის ბიუჯეტის პროექტში მეცნიერების ხარჯები განგაჩარიშებულია 94.257 ათასი მანეთის ოოცენტით. რაც 2.716 ათასი მანეთით მეტია 1950 წლის ხარჯებზე.

აქედან მეცნიერებათა აკადემია მიიღებს 51.082 ათასს მანეთს, ანუ გასული წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით 3.767 ათასი მანეთით მეტს.

ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტის ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე საშუალოდ წელიწადში იხარჯებოდა ერთ სულზე 1913 წელს 0,58 კაპიკი, 1924-25 წლებში 1 მან. 53 კაპ., ხოლო 1950 წელს — 120 მან. 60 კაპ.

მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში ამ დანიშნულებით ბიუჯეტიდან დახარჯა 1.893.376 ათასი მანეთი, მიმდინარე წელს ბიუჯეტში კი გათვალისწინებულია 435.614 ათასი მანეთი.

აქედან კაპიტალურ დაბანდებაზე დაიხარჯება 5.800 ათასი მანეთი, შენობების კაპიტალურ რემონტზე — 18.152 ათასი მანეთი და სხვადასხვა ინვენტარის შეძენაზე — 21.729 ათასი მანეთი.

კურორტებზე წელს დაიხარჯება 23.450 ათასი მანეთი.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 156.673 ათას მანეთს ანუ 6.723 ათასი მანეთით მეტს გასულ წლთან შედარებით.

ფიზკულტურის ღონისძიებებზე 1951 წლის ბიუჯეტის პროექტი გათვალისწინებულია 11.548 ათასი მანეთი.

მომდინარე წელს განხორციელდა მმართველობის აპარატისა და აღმასრულებელ-სამეურნეო ხარჯების 5 ოოცენტით შემცირება გასულ წელთან შედარებით.

ამ შემცირების მიზეზელობაში მიღებიან მომდინარე წლის ბიუჯეტის პროექტში მმართველობის ხარჯები 182.409 ათას მანეთს შეადგენს.

ზოგიერთი სამინისტროს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები უშვებენ გადახარჯვას და სამტატო დისციპლინის დარღვევას.

სიღნაღის რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 4 სოფლიზოლაბორატორიის შენახვა, ფაქტიურად კი ორსაბოლოდ სამი ასეთი პუნქტი. მეოთხე, არარსებული პუნქტის შტატისა და თანხების ანგარიშში სიღნაღის რაიონმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების აპარატში აყვანილი იყო უკანონოდ, შტატსაზეპით, ორი თანამშრომელი.

კასპის რაიონმასკომის კულტურულ-საგანმანათლებელი დაწესებულებათა განყოფილების გამგეს უკანონოდ შეეთავსა მისსავე გამგებლობაში მყოფი არქეოგრაფიული ძიებლის დარაზის თანამდებობა, მაშინ როცა ეს ძიებელი რაიონის ცენტრს დაშორებულია 30 კილომეტრით.

სამმაგფელო აპარატის შენახვის ხარჯებში გადამეტება დაუშვეს ქუთაისის, საჩხერის, საგარეჯოს, მახარაძისა და ქარელის რაიონმასკომებმა.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სოფლის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გადაამჭერეს ზომები ონდო მიიღონ სპეციალიზაციისა და უკანონო ხარჯების აღმოსაფვეთად.

გასულ წელს საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დაყალდა ცეკავშირის ხაზით—1,5 პროცენტი, ხოლო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით—0,8 პროცენტი.

დაწესებულ ნორმაზე მეტი საქონლის ნაშთები მომდინარე წლის 1 თებერვალისათვის ორიგინალობდა ცეკავშირის სისტემაში 131 მილიონი მანეთისა, ხოლო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით 29 მილიონი მანეთისა. ამასთან სავაჭრო ქსელში ბევრი რაოდენობით არის დაგროვილი ისეთი საქონელი, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამ მოელის წინააღმდეგ სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან.

მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 1951 წლის 1 თებერვისათვის ირიცხებოდა 39 მილიონი მანეთის ჩაწოლილი და ძნელად სარეალიზაციო საქონელი.

სავაჭროებში ხშირად არ მოიპოვება საქონლის სრული სასორტიმენტი მიბმეშეი.

მაგალითად, ქარელის რაიონულ მაღაზიაში შემოწმებისას სასორტიმენტში მინიმუმის 120 დასახელების საქონლიდან არ აღმოჩნდა 55. ქალაქ ჭიათურაში შემოწმების დროს არ აღმოჩნდა ასანთი 4 მაღაზიაში, მარილი 2 მაღაზიაში, სარეცხის საპონი 1 მაღაზიაში და ხელის საპონი 3 მაღაზიაში. ყველა ეს საქონელი ჭიათურის სავაჭრო ორგანიზაციის საწყობებში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა. ასეთი ფაქტები იყო ქუთაისში, თბილისში და სხვა ადგილებში.

სავაჭრო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ აღმოიფხვრას ფასების დარღვევა, წონასა და ზომაში მოტყუება, ხარჯის მიეტანმლის და ვაჭრობის წესების სხვა დარღვევა.

სოფლიზოლ ნაკლოვანებები ახასიათებს ინვალიდთა კოოპერაციის მუშაობას, რომელმაც გასულ წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას დაიკლო 17 მილიონი მანეთი, ანუ 11 პროცენტი, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას — 34 მილიონი მანეთი ანუ 24,1 პროცენტი და რეალიზაციის გეგმის შესრულებას—27 მილიონი მანეთი, ანუ 19,3 პროცენტი. ამასთან 61 დასახელების ნაწარმოდან ვერ შესრულა სასორტიმენტი გეგმა 38 სახეში.

სარეწო კოოპერაციამ, პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმების გადაჭარბების პირობებში, დაგეგმილი 73 სახის პროდუქციიდან ვერ შესრულა გეგმა 39 სახეში.

სარეწო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელები ნაკლებად უშვებენ ელეხოიანთა საქონლის წერილ სასოფლო-სამეურნეო იარაღს, ნაგებობა ნივთებს და საშენ მასალებს.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია საფინანსო ორგანოებს უდგენს დაგვიანებით და ანასწორად შედგენილ საგადასახადო ანგარიშებს და ბიუჯეტში შეასტატ ბრუნვის გადასახადის თანხებს უკანონოდ დიდი ხხინი იტოვებს თავიანთ ბოფეკვაში.

საფინანსო ორგანოებმა ენერგიულად უნდა იბრძოლონ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ.

სახალხო მეურნეობის მოგების ანარიცხები 1951 წლის ბიუჯეტში შემოსავალში დაგეგმილია 320.557 ათასი მანეთის მოცულობით ანუ გასული წლის დაზუსტებულ გეგმაზე 25.851 ათასი მანეთით მეტი.

როგორც უკვე აღენიშნეთ, მოელმა რიგმა სამინისტროებმა ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შტატის გეგმა ანაშენებლოვანი გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთმა სამინისტრომ, სახელდობრ—სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სასოფლო და საკოლმეურნეო შენებლობის მთავარმა სამმართველომ, კინემატოგრაფიის სამინისტრომ, პოლიგრაფიული მრეწველობის და გამომცემლობათა სამმართველომ და სხვ.—ეს გეგმა ვერ შეასრულეს.

სამინისტროებმა, მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სათანადო სამმართველოებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა თვითეულმა სამეურნეო ორგანომ და საწარმომ უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ მომდინარე წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ დაგრეგების გეგმა და თავის დროზე შეიტანონ ბიუჯეტში კუთვნილი ანარიცხები.

გასულ წელს ბევრმა საწარმომ და სამეურნეო ორგანიზაციამ ვერ გამოიყენა არსებული შესაძლებლობანი მოგების გადიდებისათვის.

სრულად ვერ იყენებდნენ საწარმოო დანადგარებსა და მოწყობილობას. იყო მცთი ბაკეფილის შემთხვევები.

საგაჭრო ბრუნვის ტრანსპორტის სამინისტროს სარემონტო საწარმოებში ტექნოლოგიური მოწყობილობის გეგმის ბუკეთ ბაკეფილ გასულ წელს 78.870 დამბარაკი საგადასახადო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მოსახლეობისა ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხების ანარიცხები ბიუჯეტში გათვალისწინებული 270.500 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს მშრომელები ყოველთვის დიდი აქტივობით და პატრიოტული ინიციატივით ხელმოსაწერ სესხების გამოშვებას, მაგრამ უსაერენ ამ სესხებსა და უზრუველყოფენ მათს წარმატებით გავრცელებას.

ეგვი არ არის, რომ, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო სესხების ანარიცხების შემოსავალი ბიუჯეტში წარმატებით იქნება შესრულებული.

საფინანსო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი შენაბეკეი საღარიების მუშაობისადმი, გაიწონონ მათ საჭირო დახმარება და მიაღწონონ მშრომელთა მომსახურების გადაჭრით ფაფეხობა.

საბიუჯეტო-საფინანსო და საკონტროლო საარეკვიზიციო მუშაობა

ბიუჯეტის წარმატებით შესრულება მოითხოვს საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას და საბიუჯეტო ანარიცხების ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერებას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემატურ მუშაობის უწევა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1950 წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობისა და ბიუჯეტის შესრულების საბუღალტერო აღრიცხვის მდგომარეობა შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის 58 რაიონსა და ქალაქში, ხოლო მომდინარე წლის პირველ კვარტალში ასეთი შემოწმება მოიწყო 21 რაიონსა და ქალაქში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-საარეკვიზიო აპარატმა გასულ წელს მოაწყო 3.150 რევიზია და შემოწმება, რის შედეგადაც ა გამოვლინდა უკანონო ხარჯების გაწევის მრავალი ფაქტი და მორატორიუმდებაც როგორც ზოგიერთ სამინისტროსა და ცენტრალურ დაწესებულებაში, ისე ადგილებზე.

შემოწმებებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის აღმასკომები უშვებენ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევას და ბიუჯეტიდან უკანონო ხარჯებს გაწევას.

ძარნაულის რაიონის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულებას გასულ წელს 224 ათასი მანეთი დააკლდა. ამ პირობებში რაიონმასკომმა გამოიტანა მთელი რიგი უკანონო დადგენილებანი სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დანანგებაია და სხვა გეგმის გარეშე ხარჯების გაწევის შესახებ.

შემოსავლის ნაწილის შესრულებლობისა და დაშვებული უკანონო ხარჯების და გადახარჯვის შედეგად მარნეულის რაიონში წლის ბოლოსათვის დახარჯული აღმოჩნდა ადგილობრივი ბიუჯეტის საარჩევნო სახსრებიდან 309 ათასი მანეთი.

წოლეკ რაიონმასკომის კომუნალურმა გაგაფოფილებელ, სპეციალეტ სახსრების ნაშთების გადამლოვნა და შემდგომში მათი უკანონოდ გამოყენების მიზნით, 1950 წლის 1 ბოლოს გადაეტრიცხა 175 ათასი მანეთი სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებს ისეთი მასალების საფასურად, რომელიც მათგან არ მიუღია, აგრეთვე ავანსების სახით კოლმეურნეობებს და კერძო პირებს ისეთი სამუშაოების საფასურად, რაც შესრულებული უნდა ყოფილიყო 1951 წელს.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაში ანალოგიური დარღვევები აღმოჩნდა ახალციხის, ლაგოდეხის, მახარაძის, ხობოროწყის, წალენჯიხისა და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში.

შემოწმებები გამოიკვეა, რომ მიეუხედავად მიცემული მითითებებისა ქალაქებისა და რაიონების აღმასკომების განყოფილებანი არ იხილავენ და არ აბტიკეცებენ ინდივიდუალურ ხარჯთაღრიცხვებს ფინანსურ-ბიუჯეტიდან დაქვემდებარებული საბიუჯეტო დაწესებულებათათვის, ხოლო ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ბიუჯეტიდან სახსრებს აძლევენ ასეთი ხარჯთაღრიცხვების უქონლ-დ.

მაგალითად, წალენჯიხის რაიონის ბიუჯეტსა და სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის არც ერთ დაწესებულებას არც 1949 და არც 1950 წლებში ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვები არ ჰქონია, რის გამო ამ დაწესებულებათა დაფინანსება ბიუჯეტიდან სრულიად უკონტროლოდ წარმოებდა.

საბიუჯეტო დაწესებულებათა ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 27 მარტს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც განეხილოდ უნდა შესრულდეს.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვასა და დაცვაზე კონტროლის დაწესების უპირველეს პირობას მოწესრიგებული საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის საბიუჯეტო დაწესებულებაში ფულადი სახსრების ბუღალტერული აღრიცხვა კიდევ მოუწესრიგებელია.

მაგალითად, 1950 წლის ივლისში გადაგზავნილი ბუღალტერული აღრიცხვის წიგნები წოდელწყაროს, ახმეტის, ახალციხის, ვეროკაფანის და ვოროს რაიონებში იმავე წლის ოქტომბერშიც არ იყო გადაკეთილი საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის.

ბუღალტერული აღრიცხვის საქმე მოუწესრიგებელი აღმოჩნდა სიღნაღის, ქვემო სვანეთის, ადაგენის, ასპინძის, ბოლნისის, საჩხერის, ქარელის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

კვლავ მეტად მოსასტკივნელ საფეხეკი კონტროლის მოშობა.

სამინისტროებმა, ცენტრალურმა დაწესებულებებმა და საგაჯერო ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ საფეხეკი ორგანოებისა და ბიუჯეტიდან ხარჯების ანარიცხების ბუღალტერული აღრიცხვისა.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა აღმასკომებმა უნდა მოსთხოვონ დაქვემდებარებულ საბიუჯეტო დაწესებულებებს ბუღალტერიული აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვების საქმის მოწესრიგება, აღმოფხვრიან უკანონო ხარჯები. და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის სხვა სამი დარღვევანი.

ამხანაგო დეპუტატებო!

მთელი ქართველი ხალხი უდიდესი ქმაყოფილებით იუბედება საკართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკის 1951 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას. ბიუჯეტი წარმოადგენს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი აღძალლობის უდიდეს საშუშაოთა დაფინანსების პროგრამასა.

ეს ბიუჯეტი ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ გაგეთარებას, ქართველი ხალხის კულტურის ახალ აყვავებას და ,მისი ეკონელდეობის უფროო მეტად ამაღლებას.

საქართველოს მშრომელნი, რომელნი კოლეეფიზმის საქმისადგი უსაზღვრო ერთგულების სულისკეთებით აღზარდა ამხანაგმა ლავრენტი პაველაძე ბერიამ, უფრო მეტად შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ, საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო. (ქეთხარე ტაში).

ქართველი ხალხი მთელ თავის ძალღონეს და შესაძლებლობას მოახმარს დიდი სტალინის ყველა დავალებათა შესრულებას, დიადი სამშობლოს კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს, რაც მთელ მსოფლიოში მშვიდობის საიმედო საფეხურია.

ქართველი ხალხი, საქართველოს კომენტლისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიიმწევს სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებას და სამშობლოს კავშირის ხალხთა ერთთან ძმურ ოჯახში ნაბიჯ წინ, კომენიზმის ახალი ეპოქისკენ.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს. (ქეთხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

საქართველოს სსრ 1951 წლის ბიუჯეტის შემოსავალი

1951 წლის ბიუჯეტის პროექტში შემოსავალის 75,8 პროცენტი გათვალისწინებულია სოციალისტური სახალხო მეურნეობიდან და სხვა სახელმწიფო წყაროებიდან.

ბრუნვის გადასახადის ანარიცხები ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1.058.465 ათასი მანეთის ოდენობით, რაც საერთო შემოსავლების 41 პროცენტს შეადგენს.

ამ შემოსავლის საერთო-საბიუჯეტო გეგმა 1950 წლისათვის განისაზღვრება რესპუბლიკაში 4.160 მილიონი მანეთით, რაც თითქმის 70 მილიონი მანეთითა აღემატება გასული წლის დაკალებას.

ეჭისათვის, რომ უზრუველყოფილ იქნას ბრუნვის გადასახადის გეგმის აუცილებელი შესრულება, ჩვენმა საწარმოო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები საქონლის გამოშვების და რეალიზაციის გაძლიერებისათვის.

გასულ წელს ყველა სამრეწველო სამინისტროომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის გამომცემლობათა და წიგნთა ვაჭრობის საქმართველოს გარეშე.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას თუმცა გადაჭარბეს 5,3 პროცენტით, მაგრამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება დააკლდა 3.847 ათასი მანეთი ანუ 4,4 პროცენტი. პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა კი რეალიზაციის გეგმა 79 პროცენტით, ანუ 10 მილიონი მანეთით ნაკლებად შეასრულეს.

ასეა შემთხვევა, როდესაც სამინისტროომ მთლიანად შეასრულა ან გადაჭარბა პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმები, მაგრამ მასზე დაკვეშდებარებულმა ზოგიერთმა საწარმოებმა ჩაშალეს ამ გეგმების შესრულება.

მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროომ საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ოფლიანობის გეგმის შესრულებას 11,2 პროცენტი დააკლო ფეხსაცმლის პრიკეზია ფაბრიკამ, 11,1 პროცენტი ბაბუმის № 4 ფეხსაცმლის ფაბრიკამ, 5,2 პროცენტი ბაბუმის სამკერვალო ფაბრიკამ და 7 პროცენტი თბილისის ტყავის № 1 ქარხანამ.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 22 საწარმოდან სამინისტროს რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულა 7 საწარმომ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველანაირ ყველა საწარმო ასრულებდეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს.

პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაუმჯობესება სამრეწველო საწარმოების ცენტრალური ამოცანაა.

ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ზედგამოჩენილ ბეჯერ საწარმოში სერიოზული ძიღწევებია ბეჯერ საწარმოში ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ლენინის ქ. № 14, ტალდფონები: ბასეხსმგებელი მდივანი — 3-08-67, საქმიანობა — 3-06-58, განყოფილებებისა: პროპაგანდის და აგიტაციისა — 3-81 84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა შენებლობის კულტურისა და ეროვნებათა ადგილობრივ კულტურულ ნაგებობათა ჯერელი — 3-80-88, საბჭოველი ხელოვნებისა და ინფორმაციისა — 3-80-84, შემოქმედი ნერილებისა — 3-73-24, ბორიგოსა და გამოშვებისა — 3-81 65, გამომცემლობისა — 3-51-81, ხელმძღვანელობისა — 3-77 70

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: ბასეხსმგებელი მდივანი — 3-08-67, საქმიანობა — 3-06-58, განყოფილებებისა: პროპაგანდის და აგიტაციისა — 3-81 84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა შენებლობის კულტურისა და ეროვნებათა ადგილობრივ კულტურულ ნაგებობათა ჯერელი — 3-80-88, საბჭოველი ხელოვნებისა და ინფორმაციისა — 3-80-84, შემოქმედი ნერილებისა — 3-73-24, ბორიგოსა და გამოშვებისა — 3-81 65, გამომცემლობისა — 3-51-81, ხელმძღვანელობისა — 3-77 70

ტფ 01587

ლ. ბ. ბეჯოლა სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.